საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1/619

ქ. თელავი „15" „09" 2017 წ.

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წელს პრიორიტეტული პროგრამული მიმართულებების შესაბამისად დასაფინანსებელი ადგილების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის №122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „2017-2018 სასწავლო წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე პროგრამული დაფინანსების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 17 აგვისტოს №135/ნ ბრძანების, უნივერსიტეტის რექტორის 2017 წლის 12 სექტემბრის წერილისა (№1054571) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილის ქეთევან ნატრიაშვილის 2017 წლის 15 სექტემბრის წერილის (№1075713) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წელს პრიორიტეტული პროგრამული მიმართულებების შესაბამისად დასაფინანსებელი ადგილები განისაზღვროს შემდეგი სახით:

ისტორია - 57 ადგილი;
ქართული ენა და ლიტერატურა - 28 ადგილი;
ბიოლოგია - 19 ადგილი;
სასურსათო ტექნოლოგია - 65 ადგილი;

მათემატიკა - 3 ადგილი;
დაწყებითი განათლება - 20 ადგილი;
ეკონომიკა - 28 ადგილი;
აგრონომია- 10 ადგილი;

2. დაევალოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;
3. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ფაკულტეტებს;
4. ბრძანების ასლი გადაეცეს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს;
5. დაევალოს უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურს (ა. ღაღანიძე) ბრძანების ვებ-გვერდზე განთავსება;
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

უნივერსიტეტის რექტორი: **/ირმა შიოშვილი/**